

შპს „ჯეოლოგ“-ის
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ს ა რ ჩ ე ვ ი

მოგებისა და ზარლის და სრული შემოსავლის ანგარიშგება	1-2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5-6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	7-8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9-22

შპს გეოლოგ

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	4	38 675 052	38 061 568
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(35 960 007)	(35 849 259)
სრული მოგება		2 715 045	2 212 308
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(677 609)	(544 907)
სხვა შემოსავალი/ხარჯი	7	61 814	231 754
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	8	(105 872)	(24 223)
კურსთაშორის სხვაობიდან წმ. შემოსავალი/ზარალი		(711 905)	(2 124 648)
მოგება დაბეგვრამდე		1 281 473	(249 716)
მოგების გადასახადის ხარჯი		(167 939)	(111 455)
მოგება წლის განმავლობაში		1 113 534	(361 171)
სხვა სრული შემოსავალი			
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი		1 113 534	(361 171)

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 27 აგვისტოს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ვანო ქურხულიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ნანა ქორიძე

შპს გეოლოგ

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	4	38 675 052	38 061 568
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება	5	(35 960 007)	(35 849 259)
სრული მოგება		2 715 045	2 212 308
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(677 609)	(544 907)
სხვა შემოსავალი/ხარჯი	7	61 814	231 754
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	8	(105 872)	(24 223)
კურსთაშორის სხვაობიდან წმ. შემოსავალი/ზარალი		(711 905)	(2 124 648)
მოგება დაბეგვრამდე		1 281 473	(249 716)
მოგების გადასახადის ხარჯი		(167 939)	(111 455)
მოგება წლის განმავლობაში		1 113 534	(361 171)
სხვა სრული შემოსავალი			
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი		1 113 534	(361 171)

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 27 აგვისტოს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ვანო ქურბულიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ნანა ქორიძე



შპს ჯეოლოგ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	284 542	305 533
არამატერიალური აქტივები	10	1 602	445
საინვესტიციო ქონება	11	148 305	148 305
გრძელვადიანი აქტივები		434 449	454 283
მარაგები	12	813 939	912 201
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	8 192 545	6 572 257
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	14	523 203	891 076
მიმდინარე აქტივები		9 529 686	8 375 534
სულ აქტივები		9 964 135	8 829 817
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		8 796 710	8 632 368
სულ კაპიტალი		8 796 710	8 632 368
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	151 553	158 932
მოკლევადიანი სესხები	16	850 945	-
საგადასახადო ვალდებულებები	17	164 927	38 517
მიმდინარე ვალდებულებები		1 167 425	197 449
სულ ვალდებულებები		1 167 425	197 449
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		9 964 135	8 829 817

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 27 აგვისტოს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ვანო ქურხულიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ნანა ქორიძე

შპს ჯეოლოგ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	284 542	305 533
არამატერიალური აქტივები	10	1 602	445
საინვესტიციო ქონება	11	148 305	148 305
გრძელვადიანი აქტივები		<u>434 449</u>	<u>454 283</u>
მარაგები	12	813 939	912 201
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	8 192 545	6 572 257
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტ	14	523 203	891 076
მიმდინარე აქტივები		<u>9 529 686</u>	<u>8 375 534</u>
სულ აქტივები		<u>9 964 135</u>	<u>8 829 817</u>
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		8 796 710	8 632 368
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		<u>8 796 710</u>	<u>8 632 368</u>
სულ კაპიტალი			
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	15	151 553	158 932
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	850 945	-
მოკლევადიანი სესხები	17	164 927	38 517
საგადასახადო ვალდებულებები		<u>1 167 425</u>	<u>197 449</u>
მიმდინარე ვალდებულებები		<u>1 167 425</u>	<u>197 449</u>
სულ ვალდებულებები		<u>9 964 135</u>	<u>8 829 817</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები			

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 27 აგვისტოს დამტკიცებულია
გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



ვანო ქურბულიშვილი

ნანა ქორიძე

შპს ჯეოლოგ

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლისათვის

ლარი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	9 625 118	9 625 118
კაპიტალის გაზრდა ან შემცირება			-
წინა პერიოდის კორექტირება			(0)
სხვა ცვლილებები კაპიტალზე			-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(361 171)	(361 171)
განაწილებული დივიდენდი		(631 579)	(631 579)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	8 632 368	8 632 368
კაპიტალის გაზრდა ან შემცირება			(0)
წინა პერიოდის კორექტირება		(1 824)	(1 824)
სხვა ცვლილებები კაპიტალზე			(0)
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		1 113 534	1 113 534
განაწილებული დივიდენდი		(947 368)	(947 368)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		8 796 711	8 796 710

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 27 აგვისტოს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ვანო ქურხულიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ნანა ქორიძე

შპს ჯეოლოგ
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლისათვის

ლარი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	9 625 118	9 625 118
კაპიტალის გაზრდა ან შემცირება			(0)
წინა პერიოდის კორექტირება			-
სხვა ცვლილებები კაპიტალზე		(361 171)	(361 171)
პერიოდის წმინდა მოგება/ ზარალი		(631 579)	(631 579)
განაწილებული დივიდენდი			
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	8 632 368	8 632 368
კაპიტალის გაზრდა ან შემცირება			(0)
წინა პერიოდის კორექტირება		(1 824)	(1 824)
სხვა ცვლილებები კაპიტალზე			(0)
პერიოდის წმინდა მოგება/ ზარალი		1 113 534	1 113 534
განაწილებული დივიდენდი		(947 368)	(947 368)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		8 796 711	8 796 710

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 27 აგვისტოს დამტკიცებულია
გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



ვანო ქურბულიშვილი

ნანა ქორიძე

შპს ჯეოლოგ

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლისათვის

	<u>2024</u>	<u>2023</u>
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში		
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი სახსრები	44 094 854	46 979 629
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(38 287 440)	(38 301 660)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(387 150)	(330 950)
გადახდილი გადასახადები	(5 581 978)	(6 584 720)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(43 350)	(51 292)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(205 063)	1 711 006
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1 983)	(34 388)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	-	140 000
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 983)	105 612
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება		
საკუთარი აქციების გამოსყიდვა/გაცემები კაპიტალის შემცირების გამო		
სესხების აღება	17 375 000	10 120 000
სესხების დაფარვა	(16 524 055)	(10 870 000)
სესხზე გადახდილი პროცენტები	(105 872)	(24 223)
გადახდილი დივიდენდები	(900 000)	(600 000)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(154 927)	(1 374 223)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	(5 900)	(40)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(367 874)	442 355
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	891 076	448 721
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	523 202	891 076

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 27 აგვისტოს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ვანო ქორბულიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ნანა ქორიძე

შპს „ჯეოლოგ“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლისათვის
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

მყიდველებისა და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი
სახსრები

მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები

გაცემული შრომის ანაზღაურება

გადახდილი გადასახადები

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების

გასვლიდან მიღებული შემოსულობანი

საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა

ფულადი სახსრები

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

საწესდებო კაპიტალის შეესება

საკუთარი აქტივების გამოსყიდვა/გაცემები კაპიტალის შემცირების

გამო

სესხების აღება

სესხების დაფარვა

სესხზე გადახდილი პროცენტები

გადახდილი დივიდენდები

საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი

სახსრები

ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო

პერიოდის დასაწყისისათვის

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო

პერიოდის ბოლოსათვის

2024

2023

44 094 854

46 979 629

(38 287 440)

(38 301 660)

(387 150)

(330 950)

(5 581 978)

(6 584 720)

(43 350)

(51 292)

(205 063)

1 711 006

(1 983)

(34 388)

140 000

(1 983)

105 612

17 375 000

10 120 000

(16 524 055)

(10 870 000)

(105 872)

(24 223)

(900 000)

(600 000)

(154 927)

(1 374 223)

(5 900)

(40)

(367 874)

442 355

891 076

448 721

523 202

891 076

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 27 აგვისტოს დამტკიცებულია
გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ვანო ქურხულიშვილი

ნანა ქორიძე



შპს „ჯეოლოგის“ ფინანსური ანგარიშგების ახსნა -განმარტებითი შენიშვნები

1. ორგანიზაცია და საქმიანობა

- 1.1. შპს „ჯეოლოგ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 9 თებერვალს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 428519873, იურიდიული მისამართი - საქართველო, დედოფლისწყარო, შოთა რუსთაველის ქ., N 57, კორპ. 42/16, ხოლო ფაქტობრივი მისამართი ქ.თბილისი, სოფელი დილომი, დავარის ქუჩა #35. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.
- 1.2. კომპანიის დაფუძნების თარიღიდან, 09/02/2015 წლიდან 14/03/2022 წლამდე 70%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენდა ვლადიმერ გვასალია, რუსეთის მოქალაქე (პასპ. ნომერი 71 0879585), ხოლო 30%-იანი წილის მფლობელს ვანო ქურხულიშვილი, საქართველოს მოქალაქე (პ/ნ 14001013808). 2022 წლის 14 მარტიდან კომპანიის წილები გადანაწილდა შემდეგნაირად : 70%-იანი წილის მფლობელი ნინო გვასალია (01508067143 /რუსეთის ფედერაცია) და 30%-იანი წილის მფლობელი ვანო ქურხულიშვილი,
- 1.3. კომპანიის დირექტორია ვანო ქურხულიშვილი (პ/ნ 14001013808).
- 1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა მარცვლეულით, დაუმუშავებელი თამბაქოთი, თესლებით და ცხოველების საკვებით. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში სავაჭრო საქმიანობას ახორციელებდა თბილისიდან.
- 1.5. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.
- 1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია მთავარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ბიზნეს გარემო ხასიათდება არაერთი სტრუქტურული ნაკლოვანებებით: საქართველო არის პატარა, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა მაღალი დოლარიზაციის დონით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე მზარდი დამოკიდებულებით. შედეგად, ქვეყნის ფინანსური სისტემა ხდება დაუცველი გლობალურ ეკონომიკურ და ფინანსურ ტენდენციებთან მიმართებაში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

3. მომზადების საფუძველი , გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და სააღრიცხვო შეფასებები

3.1 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად, რომელიც მოქმედია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

საქმიანობის უწყვეტობა. ხელმძღვანელობის მიერ საწარმოს მომგებიანობის , ფულადი ნაკადების, ლიკვიდურობის შეფასების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულ იქნა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს აღემატება **8 362 261** ლარით, რომელიც გულისხმობს კომპანიის უნარს მოახდინოს აქტივების სწრაფი რეალიზაცია და ვალდებულებების დროული შესრულება მიმდინარე საქმიანობის პირობებში, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას , **სტაბილური** ეკონომიკური გარემოს არსებობის შემთხვევაში,

განაგრძოს ფუნქციონირება ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. კომპანია არ ექვემდებარება მნიშვნელოვან კომერციულ/ ფინანსურ რისკებს და ადგილი არ აქვს საწარმოში არსებულ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობებს, შესაბამისად ხელმძღვანელობა არ გეგმავს და არც აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება მომდევნო 12 თვის განმავლობაში განახორციელოს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

3.2 მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოური ვალუტა. ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი აშშ დოლარი	ევრო	100 რუსული რუბლი
<i>კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის</i>	2,8068	2,9306	2,5405
<i>კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის</i>	2,6894	2,9753	2,9916

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად. კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

შემოსავალი. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს ფინანსურ ან/და სხვა არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს, რომლებიც მსს ფასს (IFRS for SMEs) 23-ე განყოფილების („ამონაგები“) მიხედვით არ წარმოადგენს ამონაგებს.

ხარჯები. ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაბეგვრა. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საგადასახადო კოდექსში 2016 წელს შესული ცვლილებით, 2017 წლის იანვრიდან, ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, რომლის თანახმად საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია **განაწილებული მოგება**. **განაწილებული მოგება** არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ წარმოიქმნება სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება.

მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება პარტნიორებზე დივიდენდის განაწილების **გამოცხადების** თარიღისთვის, ხოლო გადასახადის გადახდა, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, ხორციელდება პარტნიორებზე დივიდენდის განაწილების დროს.

საქართველოს საგადასახდო კოდექსის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, გარდა განაწილებული მოგებისა არის სხვა დასაბეგრი ოპერაციები, რომლებიც მსს-ს ფასს-ის მიზნებისათვის ცალკე არ განიხილება მოგების გადასახდით დაბეგვრის ობიექტად. შესაბამისად, აღნიშნული ცალკეული დასაბეგრი ოპერაციების მიხედვით გაანგარიშებული მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული სხვა ხარჯი.

საქართველოს საგადასახდო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ხელმძღვანელობას მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის საგადასახდო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით. ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება **საშუალო შეწონილი მეთოდით**. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწრა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების ცვეთის კოეფიციენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ცვეთის კოეფიციენტი შეადგენს
კავშირგაბმულობის საშუალებები	10%-20%
კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები	10%-20%
საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	10%-20%
სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	10%-20%

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მიერ ფლობილი ქონება საიჯარო შემოსავლის ან კაპიტალის ფასის გაზრდისთვის, ან ორივე მიზეზით, და არ არის კომპანიის მიერ ათვისებული საკუთარი საოპერაციო საქმიანობების განსახორციელებლად. კომპანია საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით. ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორიცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება.

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ, რომელთაც აქვთ შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან წარმოქმნილი შემოსულობები და ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში და ცალკე ხდება მისი წარდგენა.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 5-10 წელს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგავრი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

იჯარა. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, წარმოშობილი ოპერაციული ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი. კომპანიის დადგენილი კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის აქციონერების მიერ. კომპანიის დადგენილ კაპიტალში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ კომპანიის აქციონერთა გადაწყვეტილებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება ფულადი ვალდებულების სახით დაგამოქვითულია საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადებულ და დამტკიცებულნი არიან. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და საფინანსო ანგარიშგებადნე გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი ავტორიზებულია გამოსაცემად და აღნიშნულია შემდგომი მოვლენების შესახებ აღნიშვნაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიანი მაღალლიკვიდრებად ინვესტიციებს სამ თვინი ან ნაკლები დადგენილი ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3.3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიას ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველწლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

ხელმძღვანელობის მიერ აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთები. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი

ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა. კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები. ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება შესაძლებელია მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია.

პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით, თითოეული ზემოქმედების ფაქტების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

4. შემოსავალი	2024	2023
ამონაგები	38 675 052	38 061 568
5.გაყიდვების თვითღირებულება	2024	2023
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(35 960 007)	(35 849 259)
	(35 960 007)	(35 849 259)
6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	(490 980)	(419 470)
სოციალური დანარიცხები საერთო-ადმინისტრ. შრ. ანაზღ.	(7 044)	(9 201)
საიჯარო ქირა	(23 752)	(39 465)
საკანცელარიო ხარჯები	(255)	(603)
კომუნიკაციის ხარჯები	(5 907)	(508)
საერთო დანიშნულების ძირ. საშუალებების ცვეთა	(22 237)	(18 819)
საექვო ვალების ანარიცხი	(91 544)	(14 647)
საგადასახადო ხარჯები	(4 787)	(3 959)
სამანკო ხარჯები	(25 077)	(29 419)
სამურენო ხარჯი		(1 563)
კომპიუტერს ხარჯები	(1 271)	(1 020)
სხვა საერთო ხარჯი	(4 755)	(6 235)
	(677 609)	(544 907)

7. სხვა შემოსავალი/ხარჯი	2024	2023
საქონლის სახით მიღებული სარგებელი	57 948	77 387
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული მოგება	-	3 859
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილება	-	131 356
ჩამოწერილი ძირითადი საშუალების ხარჯი	-	(538)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4 112	19 689
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(246)	
	61 814	231 754

8. ფინანსური ხარჯები, წმინდა	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	(105 872)	(24 223)
	(105 872)	(24 223)

9. ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	კავშირგაბმულობის საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	მანქანა - დანადგარები	ავტო და სხვა ინვენტარი	ჯამი
თვითღირებულება	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30 548	97 458	5 756	2 197	114 785	80 144	330 888
მიღებულია 2023 წლის საანგარიშო პერიოდში		118 012		3 766		36 828	158 606
დარიცხული ცვეთა გასული	(30 548)	(6 654)	(1 152)	(652)	(114 785)	(9 914)	(18 373)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	191 867	4 605	5 311	-	103 750	305 533
მიღებულია 2024 წლის საანგარიშო პერიოდში						1 103	1 103
დარიცხული ცვეთა გასული	-	(9 593)	(921)	(895)		(10 684)	(22 093)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	182 273	3 684	4 416	-	94 169	284 542

10. არამატერიალური აქტივები	ლარი
საბუღალტრო პროგრამა	
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	495
მიღებულია 2023 წლის საანგარიშო პერიოდში	
დარიცხული ამორტიზაცია	49
გასული	
წმინდა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	445
მიღებულია 2024 წლის საანგარიშო პერიოდში	1300
დარიცხული ამორტიზაცია	(144)
გასული	
წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1602

11. საინვესტიციო ქონება	ლარი
საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	-
მიღებულია 2023 წლის საანგარიშო პერიოდში	16 949
მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულების ცვლილებიდან	131 356
რეალური ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	148 305
მიღებულია 2024 წლის საანგარიშო პერიოდში	-
მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულების ცვლილებიდან	-
რეალური ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	148 305

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასებულია დამოუკიდებელი, კვალიფიციური შემფასებლის მიერ, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი ცვლილება არ მომხადარა.

12. მარაგები	2024	2023
ნედლეული	813 939	912 201
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	2 890 317	1 603 151
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვები	(202 546)	(111 002)
გაცემული ავანსები	733 396	224 930
მომწოდებლის სასარგებლოდ არსებული დეპოზიტი	4 771 379	4 855 178
	8 192 545	6 572 257

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2024	2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	523 203	891 076

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	151 553	158 932
მიღებული ავანსები		
	151 553	158 932

16. მოკლევადიანი სესხები	2024	2023
ბანკის საკრედიტო ხაზი	850 945	-

2024 წლის 29 მარტს 12(თორმეტი) კალენდარული თვით სს "ლიბერთი ბანკსა და შპს „ჯეოლოგ“-ს შორის გაფორმებულ იქნა „გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება“, საბრუნავი საშუალებების შეძენა/დაფინანსების მიზნობრივობით, რომლის მოცულობა განისაზღვრა 2,000,000.00 (ორი მილიონი და 0,00) ლარის ოდენობით. კრედიტის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 12,75%-ით. 2025 წელს სახელშეკრულებო ვადის 12 თვით განახლების შემდეგ, კრედიტის მთლიანი თანხის მოცულობა განისაზღვრა კვლავ 2 000 000 ლარით, ხოლო კრედიტის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - 14,98 %-ით.

სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ, შპს „ჯეოლოგი“-ს სესხის უზრუნველყოფის საშუალებების სახით, დამფუძნებლების საკუთრებაში არსებული პირადი ქონება დატვირთულია იპოთეკით ბანკის სასარგებლოდ.

17.საგადასახადო ვალდებულებები	2024	2023
საგადასახადო ვალდებულებები	164 927	38 517

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან თუ ერთ მხარეს შესწევს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარის მიერ ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაკავშირებული მხარის ყველა შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მის სამართლებრივ ფორმას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც შესაბამის ფინანსურ წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

ოპერაციები	2024	2023
საქონლის რეალიზაცია (დღგ-ს ჩათლით)	82 600	161 816
მომსახურების შესყიდვა	1 657 434	1 416 434
ნაშთები	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	149 145	98 545
გაცემული ავანსები	153 667	27 117
	2024	2023
წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	339 694	329 643

19. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

20. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს.

ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ ფულად სახსრებთან მიმართებით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 687 771	1 492 149
მომწოდებლის სასარგებლოდ არსებული დეპოზიტი	4 771 379	4 855 178
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	523 203	891 076
	7 982 352	7 238 403

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ლიკვიდურობის მდგომარეობის მონიტორინგს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადისცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

ფინანსური ვალდებულებები	2024	2023
მოკლევადიანი სესხები	850 945	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	151 553	158 932
	1 002 499	158 932

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: ა) უცხოურ ვალუტასთან, ბ) საპროცენტო განაკვეთები და გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

I. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

II. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შემდეგ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დენომინაციის ვალუტის მიხედვით.

ფინანსური აქტივები	2024				2023		
	ლარი	აშშ დოლარი	რუსული რუბლი	ჯამი	ლარი	რუსული რუბლი	ჯამი
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	523 203			523 203	891 076		891 076
სავაჭრო მოთხოვნები	2 440 787	246 983		2 687 771	1 492 149		1 492 149
მომწოდებლის სასარგებლოდ არსებული დეპოზიტი			4 771 379	-		4 855 178	4 855 178
სულ ფინანსური აქტივები	2 963 990	246 983	4 771 379	3 210 973	2 383 225	4 855 178	7 238 403

ფინანსური ვალდებულებები	2024				2023		
	ლარი	აშშ დოლარი	რუსული რუბლი	ჯამი	ლარი	რუსული რუბლი	ჯამი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	151 553				158 932		158 932
მოკლევადიანი სესხები	850 945				-		-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1 002 499	-	-	-	158 932	-	158 932

წმინდა სავალუტო პოზიცია	1 961 491	246 983	4 771 379	3 210 973	2 224 292	4 855 178	7 079 471
--------------------------------	------------------	----------------	------------------	------------------	------------------	------------------	------------------

21. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს.

22. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიას პარტნიორებზე გაცემული აქვს დივიდენდი **842 105** ლარი.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ **2025 წლის 27 აგვისტოს**